სახლმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №5

31 დეკემბერი 2013 წელი

ქ.ქუთაისი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ 10' მუხლისა მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის შოთა მურღულიას სახით, (უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი-მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი №01-10522 31.12.13წ.; მისამართი: 4600, ქ.ქუთაისი, შ. რუსთაველის გამზ. №3: ტელ: 24-54-54) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე სერგო ვერულაშვილის სახით (მისამართი: ქ.ქუთაისი, კ. მესხის ქ. №9ა/6) (შემდგომში „მიმწოდებელი“)

ვდებთ ამ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ობიექტი და კლასიფიკატორის კოდი

1.1 ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში მათი ტერიტორიიდან იზოლაციის მომსახურება.

1.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებაში.

1.3 კლასიფიკატორის კოდი – 90900000.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესასრულებელი მომსახურების ჯამური ღირებულება შეადგენს 6000 (ექვსიათასი) ლარს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება) განახორციელდება თვითთმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის მიერ;

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი, კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი;

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 „მიმწოდებელმა“ უნდა უზრუნველყოს მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში (ქუჩები, მაგისტრალები, ბაღები, სკვერები, პარკები, გაზონები) პირუტყვი გადაიყვანოს სათანადო მოწყობილობით აღჭურვილ სპეც. სადგომზე და განახორციელოს მათი მოვლა პატრონობა.

4.2 სისტემატიურად აწარმოონ დაკვირვება და იზოლირება ეჭვმიტანილ ცხოველებზე (ძაღლები, კატები, პირუტყვი) მომსახურება გაუწიონ მოსახლეობის მრიდან გამოძახების შემთხვევაში.

4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს მომსახურების პირობებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 „შემსყიდველი” შესყიდვის ობიექტის მიღებას მოახდენს 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5.2 ,,მიმწოდებლის" მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის ფაქტიური დადასტურების შემდეგ.

5.3 ფაქტიურად შესყიდვის ობიექტის მიღების დამტკიცებას თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის დადასტურების საფუძველზე ახორციელებს თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერი.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება ხორციელდება ,,მიმწოდებლის" წერილობითი მომართვის საფუძველზე;
6.2 ,,მიმწოდებლის" წერილობით მომართვას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს:
ა) ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა,
ბ) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მოცულობა და ღირებულება,
გ) შესრულებული სამუშაოს შესაბამისად ამოწერილი სასაქონლო ზედნადები.
6.3 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო (ლარებში).
6.4 ანგარიშსწორების ვადაა შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღე;

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა

7.1 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.2 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანოზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. მხარეთა უფლება–მოვალეობები

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:
–გასაწევი მომსახურების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია
9.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
9.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
9.4 მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 დაუძლეველი ძალის გარდა ,,მიმწოდებლი"–ს მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები:
– ხელშეკრულების თვითნებურად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელი" გადაიხდის ხელშეკრულების თანხის 30%-ს.
10.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%–ს.
10.3 იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%–ს, ,,შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10.4 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად შესრულებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.
10.6 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ძირითადი ვალდებულებების შესრულებისადმი.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

11.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე დაუყონებლივ;

11.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 ,,შემსყიდველმა" და ,,მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ,,შემსყიდველი" და ,,მიმწოდებელი" ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

14. გადასახადები და დაბეგვრა

14.1 ,,მიმწოდებელი" პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 3 მარტამდე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. 1 (ერთი) პირი მიმწოდებელთან და 2 (ორი) პირი შემსყიდველთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

ქალაქ ქუთაისის მერია
მის: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი

ბ/კოდი: UGEBGE22
ა/ა № 33033303
ს/კოდი: 212721170
ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

შოთა მურღულია

მიმწოდებელი:

ინდ. მეწარმე
მის: ქ. ქუთაისი, კ. მესხის ქ. №9ა/6
ს.ს ,,ვითიბი ბანკი ჯორჯია"
ქუთაისის ფილიალი

ბ/კოდი: 220101601
ა/ა GE47VT0500000018223607
ს/კ 60001026992
ინდ. მეწარმე

სერგო ვერულაშვილი

შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში მათი ტერიტორიიდან იზოლაციის მომსახურება.

2. „მიმწოდებელმა" უნდა უზრუნველყოს მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში (ქუჩები, მაგისტრალები, ბაღები, სკვერები, პარკები, გაზონები) პირუტყვი გადაიყვანოს სათანადო მოწყობილობით აღჭურვილ სპეც. სადგომზე და განახორციელოს მათი მოვლა პატრონობა.

3. სისტემატიურად აწარმოონ დაკვირვება და იზოლირება ეჭვმიტანილ ცხოველებზე (ძაღლები, კატები, პირუტყვი) მომსახურება გაუწიონ მოსახლეობის მრიდან გამოძახების შემთხვევაში.

4. მომსახურების გაწევის ვადაა 2014 წლის 1 იანვრიდან - 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

ხარჯთაღრიცხვა

გასაწევი მომსახურების მონაცემთა აღნიშვნა

ჩამონათვალი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება ლარებში	თანხა სულ
მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული ცხოველის სპეც. სადგომზე გადაყვანა	40	31	1240
მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული ცხოველის (ძაღლი, კატა) სპეც. სადგომზე გადაყვანა	280	17	4760
			6000

2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 6000 (ექვსიათას) ლარს.

ი.მ. სერგო ვერულაშვილი
დირექტორი

საქართველო
ქალაქ ქუთაისის მერი
GEORGIA
Mayor of Kutaisi

№ 01-10522
27 12 2013 წ.

ქ. ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ თამაზ მარგველაშვილს

ბატონო თამაზ,

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში (პირუტყვი, ძაღლი, კატა) მათი ტერიტორიიდან იზოლაციის მიზნით მომსახურების შესყიდვის მიზნით, 2014 წლის ტენდერის ჩატარებამდე და მის შემდგომ ეტაპზე ტენდერში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან სათანადო ხელშეკრულების გაფორმებამდე პერიოდში ქალაქის ტერიტორიაზე რომ არ გაიზარდოს მაწანწალა ცხოველების რაოდენობა და არ შეიქმნას რაიმე სახის საშიშროება, არ დაზიანდეს ან განადგურდეს გამწვანების ზოლი, საჭირო გადაუდებელი აუცილებლობის გამო, გთხოვთ, დაავალოთ ქალაქ ქუთაისის მერიის შესაბამის სამსახურს გამარტივებული შესყიდვის გზით განახორციელოს სახელმწიფო შესყიდვა და გააფორმოს ხელშეკრულება 6000 (ექვსი ათასი) ლარზე (ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით) ინდ. მეწარმე „სერგო ვერულაშვილ"-თან (რეკვიზიტები: მისამართი - ქ.ქუთაისი, კ.მესხის ქ. №9ა/6, ს/კ 60001026992; ს/ს „ვი-თი-ბი ბანკი ჯორჯია", ქუთაისის ფილიალი, ბანკის კოდი UGEBGE22; ანგ. №GE47VT0500000018223607; ტელ: 557-99-29-36).

ამასთან ხელშეკრულების პირობებში გათვალისწინებულ იქნას, რომ მომსახურე ორგანიზაციამ უზრუნველყოს თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიებზე, მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის შემთხვევაში (ქუჩები, მაგისტრალები, ბაღები, სკვერები, პარკები, გაზონები, გარდა მესაკუთრის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა), პირუტყვი გადაიყვანოს სათანადო მოწყობილობით აღჭურვილი ავტომობილით სპეც.სადგომზე და განახორციელოს მათი მოვლა-პატრონობა.

სისტემატურად აწარმოონ დაკვირვება და იზოლირება ცხოველებზე (ძაღლები, კატები, პირუტყვი), მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას, მათი მხრიდან გამოძახების შემთხვევებში.

ზემოანიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ დაგვრთოთ ნება განვახორციელოთ გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვა.

შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა თან ერთვის.

01-10522
31 12 2013
ფურცლ რაოდენობა 2

დანართი „1" ფურცელი

პატივისცემით,

შოთა მურღულია
ქალაქ ქუთაისის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

საქართველო ქ. ქუთაისის
საკრებულო
შემ. № 2124
30 12 2013 წ.

3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62
www.Kutaisi.gov.ge interrelations@Kutaisi.gov.ge

4600. საქართველო.
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54

№ 367
31 12 2013 წ.

თვითმმართველი ქალაქის - ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული ცხოველის (წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვი) იზოლაციისათვის შესასრულებელი სამუშაოების მომსახურების ტექნიკური პარამეტრები

№	ობიექტის დასახელება	ჩასატარებულ სამუშაოთა სახეობა	სამუშაო არეალი	დამუშავების ჯერადობა წლის განმავლობაში	შენიშვნა
1	მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული პირუტყვის (წვრილფეხა ან/და მსხვილეხა პირუტყვი, ძაღლი, კატა) იზოლირება	დაკვირვება	ქ.ქუთაისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ტერიტორიაზე	საჭიროებისამებრ	
2	დასახლებული ადგილები	მოსახლეობის გამოძახებით	ქალაქის ტერიტორიაზე	საჭიროებისამებრ	
3	ქალაქი ქუთაისი	მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული ცხოველის (წვრილფეხა ან/და მსხვილეხა ცხოველი, ძაღლი, კატა) სპეცსადგომზე გადაყვანა სათანადო მოწყობილობებით აღჭურვილი ავტომანქანით. სპეცსადგომზე გადაყვანილი ცხოველების მოვლა-პატრონობა	ქალაქის ტერიტორიაზე	ყოველდღიურად	

შენიშვნა: ტენდერში გამარჯვებული ფირმა ვალდებულია მოემსახუროს ქალაქს სპეცავტომანქანით ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 1 იანვრიდან 31 იანვრის ჩათვლით, მათ შორის ნებისმიერი ცხოველის იზოლაციაზე.

ქალაქ ქუთაისის მერიის
დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის
სამსახურის უფროსის დროებით
მოვალეობის შემსრულებელი

თამაზ დეისაძე

ხარჯთაღრიცხვა

გასაწევი მომსახურების მონაცემთა აღნიშვნა

ჩამონათვალი	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება ლარებში	თანხა სულ
მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული ცხოველის სპეც. სადგომზე გადაყვანა	40	31	1240
მოხეტიალე ან/და მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე გაშვებული ცხოველის (ძაღლი, კატა) სპეც. სადგომზე გადაყვანა	280	17	4760
			6000

2014 წლის 1 იანვრიდან 2014 წლის 31 იანვრის ჩათვლით შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 6000 (ექვსიათას) ლარს.

ი.მ. სერგო ვერულაშვილი
დირექტორი